

იქნებ გგონიათ...

იქნებ გგონიათ...

სადაფებით ვიყო ნაშენი...

მარგალიტებით

მოჭედული მესხდეს მტრედები...

გიშრის თვალები

წრიალებდნენ ნუშის ბუდეში,

ლალის ბაგესთან

მოცურავდნენ ბრილიანტები...

იქნებ გგონიათ...

ბროლისა მაქვს ყელი, ხელები...

თმის მეოცნებე ღეროები,

ვერცხლის ფეხები...

ან სულაც გული

იქნებ, ფიქრობთ, ოქროს ზოდია,

იქნებ გგონიათ...

მარმარილოს სხეულს ეხებით

მე ვემალები

მზის სხივებს და...

რომ ვიფერფლები...

ეს თქვენგან ნატყორცნ

მესტატეხას უბეში ვმაღავ...

სულ არაფერი...

შელახული ქანდაკება ვარ,

გამოქცეული

თიხის ცრემლი

საკუთარ საფლავს.